საკრებულოს წევრის ზაზა მამალაძის
საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2020 წლის 1 ნოებრიდან 2021 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით, დავესწარი საკრებულოს 22 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 22 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 111 დადგენილება და 547 განკარგულება.

კანონმდებლობის შესაბამისად, გახლავართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის და აგრეთვე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

- **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია**

საანგარიშო პერიოდში დავესწარი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის 15 სხდომას, სადაც განვიხილეთ 18 საკითხი.

- **სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია**

საანგარიშო პერიოდში დავესწარი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომას, სადაც მონაწილეობა მივიღე 56 საკითხის განხილვაში.

ფრაქციული მუშაობა

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იკრიბება თვეში მინიმუმ ერთხელ. სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება პოზიცია და რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციას ჩატარებული აქვს 11 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 17 საკითხი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი“ სხდომებზე განხილული საკითხები თარიღების მიხედვით

თარიღი	საკითხი
09.11.2020	1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი“ შექმნის შესახებ; 2. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევა 3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა 4. ფრაქციის მდივნის არჩევა
18.12.2020	1. დედაქალაქის 2021 ბიუჯეტის პროექტი; 2. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში წარსადგენი ინიციატივები; 3. ფრქაციის წევრთა სხვა ინიციატივები;

27.01.2021	1. 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომლებზეც დამატებული თანხა გადანაწილდება.
15.02.2021	1. ფრქაციის წევრთა სხვა ინიციატივები.
10.03.2021	1. მუნიციპალიტეტის მიერ აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებული რეაბილიტაციის პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები.
05.04.2021	1. დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების საკითხი.
20.05.2021	1. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების საკითხი
07.06.2021	1. თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების საკითხი.
12.07.2021	1. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის საკითხი.
09.08.2021	1. დედაქალაქის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი პროგრამები
06.09.2021	1. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევა 2. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა